

შპს გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტის რექტორის

ბრძანება № 01-01/12

თბილისი

“ 27 “ თებერვალი 2018 წ.

გაზაფხულის სემესტრში რიგგარეშე მობილობის ვადების, ვაკანტური ადგილების და წარმოსადგენი დოკუმენტების ნუსხის განსაზღვრის შესახებ:

მეწარმეთა შესახებ საქართველოს კანონის მე-9 მუხლის, გთუნ-ის წესდების მე-5 მუხლის, საქართველოს განათლების და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 4 თებერვლის 10/ნ ბრძანებით დამტკიცებული „უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებიდან სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში გადასვლის წესის“ მე-2 მუხლის პირველი პუნქტის, მე-3 პუნქტის „ა“-„გ“ ქვეპუნქტებისა და სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი/რექსტრის სამმართველოს უფროსის 23.02. 2018წ. წერილის MES 5 18 00208719, ბიზნესისა და სოციალური მეცნიერებების ფაკულტეტის დეკანის წარდგინების საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. დამტკიცდეს 2017-2018 სასწ/წ გაზაფხულის სემესტრის რიგგარეშე მობილობის პროცესის ადმინისტრირებასთან დაკავშირებული ვადები და ადგილები:

ბიზნესისა და სოციალური მეცნიერებების ფაკულტეტი

საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა:

- ბიზნესის ადმინისტრირება - (მენეჯმენტი, მარკეტინგი, ფინანსები) - 20 ადგილი;

სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა:

- საერთაშორისო ბიზნესის მენეჯმენტი - 10 ადგილი;
- საბანკო საქმე - 10 ადგილი;

2. 2017-2018 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრის რიგგარეშე მობილობის წესით ჩასარიცხ პირთა უნივერსიტეტში რეგისტრაციის ვადები:

- ✓ სტუდენტის რიგგარეშე მობილობის თაობაზე წერილობითი განაცხადისა და პირადი საქმის ასლების წარდგენის ვადა - 2018 წლის 27 თებერვლიდან 16 მარტის ჩათვლით;
- ✓ უნივერსიტეტში რიგგარეშე მობილობით გადმოსვლის სტუდენტთა კრედიტების აღიარება და გაცნობა 2018 წლის 27 თებერვალი -16 მარტი;
- ✓ რიგგარეშე მობილობის წესით ჩასარიცხ პირთა სამართლებრივი აქტების პროექტების (თანდართული ელექტრონული ფორმით) ცენტრში წარდგენის ვადა - 2018 წლის 20 მარტი;
- ✓ სტუდენტთა რიგგარეშე მობილობის წესით ჩარიცხვის თაობაზე ბრძანების გამოცემის ვადა - 2018 წლის 30 მარტის ჩათვლით;

3. განისაზღვროს წარმოსადგენი დოკუმენტაციის ნუსხა:

- ✓ განცხადება (რექტორის სახელზე);

- ✓ სტუდენტის პირადი საქმის ასლები:
 - სრული ზოგადი/უმაღლესი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;
 - პირადობის მოწმობის ასლი;
 - სამხედრო აღრიცხვაზე ყოფნის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;
 - სტუდენტის სტატუსის განმსაზღვრელი ყველა სამართლებრივი აქტი;
 - სტუდენტის სასწავლო ბარათი (დამოწმებული ფაკულტეტის ბეჭდით და დეკანის ხელმოწერით).

4. რიგგარეშე მობილობით განპირობებული განსხვავებული კრედიტების ათვისება მოხდეს უფასოდ.
5. დოკუმენტების მიღება დაევალოს შესაბამის ფაკულტეტს.
6. უნივერსიტეტში გადმოსვლის მსურველთა კრედიტების აღიარება დაევალოს უნივერსიტეტის შესაბამის ფაკულტეტს სასწავლო განყოფილებასთან შეთანხმებით.
7. ბრძანების უნივერსიტეტის ვებგვერდზე განთავსება დაევალოს უნივერსიტეტის საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილებას.
8. დაევალოს კანცელარიას ბრძანება გადასცეს შესაბამის სტრუქტურულ ერთეულებს.

ბრძანება ძალაში შევიდეს ხელმოწერის დღიდან.

რექტორი

გიორგი მათიაშვილი